განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ქეთი ბოტკოველი -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

**წევრები:**

**იანინა გიგიბერია**-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

**მანანა მოისწრაფიშვილი**-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

**დავით კუპატაძე**-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **20818360**

*სახე:*

☐ *უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება*

☐ *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება*

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 16 მაისის N 376 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები - იანინა გიგიბერია, მანანა მოისწრაფიშვილი და დავით კუპატაძე) 2019 წლის 12-14 ივნისს განახორციელა ვიზიტი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრში" დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს" 2014 წლის 29 აგვისტოს მიენიჭა ავტორიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N22) და ავტორიზაციის ვადად განესაზღვრა 2019 წლის 29 აგვისტო. ამ ეტაპზე დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს 8 პროგრამას (პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 111), მათ შორის 3 საგნობრივი და 5 მოდულური პროგრამაა. 5 მოდულური პროგრამიდან 1 პროგრამა დუალური მიდგომითაც ხორციელდება. ინფორმაცია პროგრამების შესახებ იხ. დასკვნის ბოლოს წარმოდგენილი ცხრილის სახით. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა: დაწესებულების თვითშეფასებას, საგანმანათლებლო 16 პროგრამას (მათ შორის 3 პროგრამის განხორციელება მოდულური და დუალური მიდგომით იგეგმება), მოდულებს, სასწავლო გეგმებს, პროგრამების განმახორციელებლებთან დადებულ ხელშეკრულებებს და მათ შესახებ ინფორმაციებს, პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, პროგრამების დამტკიცების აქტებს, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრში" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიას და დირექტორის ბრძანებებს პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის დამტკიცების შესახებ, მარეგულირებელ წესებს და ა.შ.

ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით. ადგილზე მუშაობა ძირითადად წარიმართა არსებული გარემოებების შესწავლის კუთხით და იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა მიმართ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. აღნიშნულ კითხვებზე მათ მოისმინეს დაწესებულების ადმინისტრაციის და პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების, განმახორციელებლების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ასევე მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება (შენობა, აუდიტორიები, სახელოსნოები, ბიბლიოთეკა). გადამოწმდა პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა არსებულ რესურსთან და მათი ფლობის დოკუმენტაცია. გასაუბრებები ჩატარდა ასევე პრაქტიკის ობიექტებზე: **,,შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (gwp)”; შპს „გზაჯვარედინი“; შპს საგა; შპს მეგდორსი; „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“ და შპს. ელიტა ბურჯი.**

სამუშაო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს გაწეული მუშაობა კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

დაწესებულების წარმომადგენლებმა და საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლებმა აქტიურად ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან.

| **მდგომარეობა** (ახალი/ არსებული) | **სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა** | **შენობა-ნაგებობების ფართი** | **მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| არსებული | 930 | 16 | 52 | 11918კვ.მ. | ქ.თბილისი, 0168 ჭიჭინაძის ქ. 10 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის | | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფის მექანიზმები | | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | | | |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | | | |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| | | | | |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | | | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | | | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: 

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | | | |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: 

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობით დადგენილი წესით. | | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ (2014 წლის 29 აგვისტო) დაწესებულება აქტიურად აგრძელებს განვითარებას, რასაც ადასტურებს მთელი რიგი ღონისძიებები რომლებშიც ჩართულია კოლეჯი. 2015 წლის 9 სექტემბერს **ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM** „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს ეწვია ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM ექსპერტი და ამავე ფონდის ვალიდატორთა ჯგუფი. ექსპერტისა და ვალიდატორების დასკვნის საფუძველზე კოლეჯის ორმა საკუთარმა და ერთმა საერთო გაუმჯობესების პროექტმა წარმატებით გაიარა ვალიდაცია EFQM სრულყოფის დონის პირველი საფეხურზე და მიიღო EFQM სრულყოფაზე ორიენტირების აღიარება, რის საფუძველზეც ამავე წლის ნოემბერში დაწესებულება დაჯილდოვდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სრულყოფილებისაკენ“ მოდელის სერთიფიკატით. კოლეჯმა 2016 წელს მონაწილეობა მიიღო **ათასწლეულის გამწვევის კორპორაციის MCC** მიერ გამოცხადებულ კონკურსში, და გამარჯვების შემდგომ, პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ISWD პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაიარა **ბრიტანული საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის BTEC** ავტორიზაცია 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რის საფუძველზეც 2017 წლის შემოდგომიდან კოლეჯი ახორციელებს სწავლებას **Pearson**-ის საერთაშორისო აღიარების 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შედუღება საბაზო და საშუალო საფეხური; ელექტროობა საბაზო და საშუალო საფეხური; ჰაერის კონდიცირება საშუალო საფეხური და წყალმომარაგება/წყალარინების სიტემების ექსპლუატაცია საშუალო საფეხური).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

*დანართი №2*

2019 წლის 15-16 ივნისს კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში „პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები“, სადაც წარმოადგინეს შედუღების სიმულაციური აპარატი და სიმულაციური სახლი. სიმულაციური სახლი, რომელიც გერმანული ბრენდია, შეიქმნა კოლეჯის მიერ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან და გერმანელ პარტნიორებთან ერთად. კოლეჯი ზრუნავს არა მხოლოდ საკუთარი სტუდენტების განათლებაზე, არამედ სკოლის მოსწავლეებზეც, რადგან დაგეგმილია, რომ პროფესიული სიმულაციური სახლი იმოგზაურებს მთელ საქართველოში, რაც საშუალებას მისცემს სკოლის მოსწავლეებს, უშუალოდ გაეცნონ სამშენებლო სექტორის 10 პროფესიას.

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლების ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიზნით კოლეჯი მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. მაგ.: ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნების, შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობის, კოლეჯისა და კომპანიის ორმხრივი ურთიერთობებისა და საერთო ინტერესების გათვალისწინებით 14 ივნისს კოლეჯ "სპექტრის" დირექტორმა და შპს "ჯიემსი მოტორსი"-ს დირექტორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის მიზანია პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა და თანამშრომლობის გზით კერძო სექტორის როლის გაზრდა/ ჩართულობა სასწავლო პროცესში.

2017 წლიდან კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კომპანია „მეგადორსთან“. ამ ეტაპზე სტუდენტთა სწავლება "მეგადორსის " ბაზაზე არსებულ სასწავლო ლაბორატორიაში მიმდინარეობს, ხოლო მიმდინარე წლის ივნისიდან პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში , კოლეჯი "სპექტრი" და კომპანია "მეგადორსი" ლამინირებული ავეჯის დამამზადებელის პროფესიულ პროგრამას ერთობლივად განახორციელებს.

მუდმივად ხორციელდება კოლეჯის ინფრასტრუქტურის განახლება და განსახორციელებელ პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1 რეკომენდებულია პროფესიული პროგრამების განხორციელებისას მეტი წარმატებისა და განვითარების თვალსაზრისით წარმოების მიერ გამოყოფილ ინსტრუქტორებთან ხშირად ჩატარდეს ტრენინგები თანამედროვე პრაქტიკული სწავლების მიდგომებისა და ვერიფიცირებული მტკიცებულებების მიღების მიზნით.

1.1. რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტებში აღმოიფხვრას ტექნიკური შეცდომები და სამომავლოდ დაწესებულებამ შეიმუშავოს მექანიზმები, რომლებიც თავიდან ააცილებს მსგავსი ტიპის შეცდომების დაშვების ალბათობას.

1.1. რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებშიც და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ანონსშიც იქნას მითითებული მათი განხორციელების ადგილი, რათა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს პროგრამების განხორციელების შესახებ სრული ინფორმაციის მარტივად გაცნობის შესაძლებლობა;

1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ აქტიურად ჩართოს პროფესიული მასწავლებლები პროგრამების შემუშავების პროცესში.

2.9. რეკომენდებულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოყალიბდეს განსახორციელებელი აქტივობები, მკაფიოდ განისაზღვროს (თვეების მიხედვით) განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

3.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად იმუშაოს როგორც დუალურ ასევე მოდულური პროგრამების განმახორციელებელ მასწავლებლებთან და უზრუნველყონ მათი მუდმივი გადამზადება.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

## VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის **მისიაა** სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კოლეჯის **კონცეფციებია:**

- მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- ორგანიზაციის მდგრადი მომავლის შექმნა;
- ეფექტიანი/მოქნილი მართვა;
- შემოქმედებითობის და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება;
- ლიდერობა პროფესიული განათლების სეგმენტში დაწესებულებაში ერთიანი ხედვის, შთაგონების და მიდგომების დანერგვის გზით.

კოლეჯის **ხედვაა** 2029 წლისათვის გახდეს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ცნობილი პროფესიული სასწავლებელი სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი/მოტივირებული მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული კურსამთავრებულებით, მოქნილი ადმინისტრირებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით.

კოლეჯის **ღირებულებებია:**

- გუნდურობა;
- პროფესიონალიზმი;
- მუდმივი მზაობა სწრაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი;
- საქმიანობის გამჭვირვალეობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- თანამშრომლობითი, უსაფრთხო, დაცული და ესთეტიური სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები;
- მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება.

## სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

*დანართი №2*

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზეა შექმნილი. დაწესებულებამ წარმოადგინა 16 მოდულური პროგრამა, რომელთა შორის 3 პროგრამის განხორციელება დუალური მიდგომითაც იგეგმება. დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთარი კვლევის (კითხვარების სახით) შედეგები პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და შესაბამისი დასაბუთების დოკუმენტაცია. წარმოდგენილი პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 97, 05.03.2019). აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით (პროფესიული პროგრამის/მოდულის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა, მუხლი 2).
საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შესაბამის მოდულებს და სასწავლო გეგმას, რომლებიც შედგენილია კოლეჯის შიდა რეგულაციების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები ადაპტირებულია პროგრამების ხელმძღვანელების მიერ. მათში წარმოდგენილია დასახელება, განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, ხანგრძლივობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების განაწილების რუკა. პროგრამებს დანართების სახით ერთვის პროგრამის დამტკიცების აქტი, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამების მოცულობა კრედიტებში და სწავლების ხანგრძლივობა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება, კრედიტის მინიჭება და პროფესიული სტუდენტის შეფასება (რომელშიც გათვალისწინებულია სწავლება-სწავლის პროცესში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

*დანართი №2*

კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით), პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 25 ივლისის N346 ბრძანებით და მასში წარმოდგენილია „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების წესი". შეფასების წესი წარმოდგენილია ასევე კოლეჯის შინაგანაწესში.

პროგრამებში წარმოდგენილია დაწესებულების მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.
კოლეჯის მიერ განსაზღვრულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების დადგენილი პროცედურა; პროცედურა ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის განხორციელების, ასევე სწავლების მიდგომის (საგნობრივი, მოდულური, დუალური) შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობას.

წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტებში ფიქსირდება ტექნიკური შეცდომები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არ ახდენს შინაარსზე ზეგავლენას, საჭიროა აღმოფხვრილი იქნას დაწესებულების მიერ. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმ მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლებიც თავიდან აარიდებს ასეთი ტიპის შეცდომების დაშვების ალბათობას.
დოკუმენტაციის სრული გადამოწმების და პროგრამების ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამების განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა ის, რომ პროფესიული მასწავლებლები ნაკლებად არიან ჩართულები პროგრამების შემუშავებაში, რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამები, მცირე ტექნიკური შეცდომების მიუხედავად, აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

*დანართი №2*

ეს პროგრამებია:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - **წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების** / Water Supply and Sewage Systems (სარეგისტრაციო ნომერი - 07309-პ) საფუძველზე კოლეჯის მირ შექმნილია ორი პროგრამა **„წყალარინების სისტემები“** და **„წყალმომარაგების სისტემები“** წყალმომარაგების სისტების სისტების განხორციელება იგეგმება, როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომით.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალმომარაგების სისტემები“ (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში** / Secondary Vocational Qualification in Water Supply Systems Exploitation, კოდი - 0732) შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - **წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების** / Water Supply and Sewage Systems (სარეგისტრაციო ნომერი - 07309-პ) საფუძველზე. საზოგადოებრივი კოლეჯის პროგრამაში გაწერილია პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა, მოცულობა და ხანგრძლივობა. პროგრამაში გაწერილია შესაბამისი სწავლის შედეგები, შედეგის მიღწევის და კრედიტის დადასტურების პროცედურა.
   წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა (ქართულენოვანმა სტუდენტმა) უნდა დააგროვოს 52 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა - 82 კრედიტი.
   პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის არის 8.6 თვე, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 13.3 თვე.
   რესურსების და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს შეუძლია **45 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.**
   პროფესიული პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი/ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან/საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:
   - შპს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“- უვადო;
   - შპს. "ჯეოტურანი"-უვადო;
   - შპს. "თერმოინდუსტრია"-უვადო;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- შპს. "ლუნი" - უვადო;
- შპს. „საგა“-უვადო.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალმომარაგების სისტემების“ დუალური სწავლებისათვის** სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორსა და შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის გენერალურ დირექტორს შორის 2018 წლის 26 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, უფლება-მოვალეობები და სხვა დამატებითი საკითხები. ხელშეკრულების მიხედვით ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი ვალდებულებას იღებს კონკრეტული მოდულების/სწავლის შედეგების საწარმოში გავლის/მიღწევის შესახებ. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრისა“ და “GWP” - ს წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობის შედეგად უნდა შემუშავდეს პროგრამა, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასება შესაძლებელი იქნება, უშუალოდ, საწარმოში. ასევე, ერთობლივად შემუშავდება პროფესიული პროგრამის განხორციელების, შედეგების მიღწევისა და შეფასების წესები.
ხელშეკრულებას თან ხლავს კომპანია (საწარმო) შპს „ ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“- („GWP“) და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიაში (საწარმოში) განსახორციელებელი მოდულების, სწავლის შედეგებისა და ჩასატარებელი საათების შესახებ ინფორმაცია. ორივე მიღების (გაზაფხული-შემოდგომა) ფარგლებში, კომპანიაში გადასამზადებელი **სტუდენტების რაოდენობაა 5.** გამოყოფილია საწარმოში პასუხისმგებელი პირები. ადაპტირებულ და დამტკიცებულ მოდულებში მითითებულია გვარები, ვინც პასუხისმგებელია კონკრეტული მოდულის შედეგების მიღწევაზე. ხელშეკრულებაში ჩანს, რომ საწარმო იღებს პასუხისმგებლობას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით ტრენინგებისა და განვითარების უფროსი. პროფესიული სტუდენტი, დუალური სწავლების შემთხვევაში, პროფესიული მოდულების კრედიტების ჯამის (42) 50% -ზე მეტს, 22 კრედიტს, აღწევს (აგროვებს) საწარმოში - („GWP“).
**რესურსების და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს შეუძლია 45 პროფესიული სტუდენტის მიღება, მათ შორის 5 გათვალისწინებულია დუალური მიდგომისთვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალარინების სისტემები“ -** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - **წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების** / Water Supply and Sewage Systems (სარეგისტრაციო ნომერი - 07309-პ) საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში** / Secondary Vocational Qualification in Water Sewage Systems Exploitation, კოდი - 0732. განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია,
წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტი) უნდა დააგროვოს 52 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა - 82 კრედიტი.
პროგრამის ხანგრძლივობა: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 8.4 თვე, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 13 თვე.
პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია A და C გარემო, რომლებიც იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის შესაძლებლობას.
რესურსების და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს შეუძლია **30 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.**
პროფესიული პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი/ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან/საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:
   - შპს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“- უვადო;
   - შპს. "ჯეოტურანი"-უვადო;
   - შპს. "თერმოინდუსტრია"-უვადო;
   - შპს. "ლუნი" - უვადო;
   - შპს. „საგა“-უვადო.

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ელექტროობა/ Electricity (სარეგისტრაციო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ნომერი - 07313-პ), საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity; კოდი - 0713. განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერგია - კოდი 0713.

ელექტროობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 67 კრედიტი, რომელთაგან 52 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდული (15 კრედიტი). პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის არის 9 თვე, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 11 თვე.

პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია თანამედროვე სასწავლო გარემო, კოლეჯის ბაზაზე არსებული სახელოსნოები. კერძოდ, კოლეჯი «სპექტრი» აღჭურვილია უახლესი LUCAS-NULLE-ს ფირმის გერმანული ლაბორატორიით (მათ შორის პრაქტიკის ობიექტზე არსებული გარემო), რომელიც იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. განახლებულია მატერიალურ ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **ელექტროობის** (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში) **დუალური მიდგომებით სწავლებისათვის** სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორსა და შპს „გზაჯვარედინის“ გენერალურ დირექტორს შორის 2018 წლის 13 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება. დუალური სწავლებისათვის კრედიტების 50% -ზე მეტი მიიღწევა საწარმოში (24 კრედიტი - 46 კრედიტიდან).

ხელშეკრულებას თან ერთვის მოდულების, სწავლის შედეგების და ჩასატარებელი საათების შესახებ ინფორმაცია. ხუთი პროფესიული მოდული ხორციელდება საწარმოში. განსაზღვრულია სწავლებაზე პასუხისმგებელი პირიც, რომელიც შპს „გზაჯვარედინის“ ელექტროშემდუღებელია.

**რაც შეეხება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და დაწესებულების რესურსებს კოლეჯს შეუძლია შესაბამისად (ორივე მიდგომით) 120 სტუდენტის სწავლება, მათ შორის 5 დუალური მიდგომით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ელექტროობა/ Electricity (სარეგისტრაციო ნომერი - 07313-პ), საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია **- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Secondary Vocational Qualification** in Electricity; კოდი - 0713. განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერგია - კოდი 0713.
   ელექტროობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 70 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა 100 კრედიტი, რომელთაგან 70 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

   პროფესიული პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი/ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან/საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

   - შპს. ”ელიტაბურჯი”- უვადო
   - შპს. ”kopos electro"- უვადო
   - შპს. ”შენი სახლი”- უვადო
   - შპს. ”პრიზმა”- უვადო
   - შპს. ’ჯინო პარკი”-უვადო
   - შპს. ”პლაზმა”- უვადო
   - შპს. ’ავტოდაგი”- უვადო
   - შპს. ”ოლ-პიჯგუფი”- უვადო
   - შპს"ჰაიდელბერგცემენტკაუკასუსი"- უვადო
   - შპს. 'ამირანი"- უვადო
   - შპს. ”ჯორჯიანუოთერენდფაუერი”- უვადო
   - შპს. "ROOMS"- უვადო
   - შპს. "სანტექ სერვისი" -უვადო
   - შპს. "მეტალტექნიკა" - უვადო
   - შპს."თერმოინდუსტრია"
   - შპს. 'ანაგი" - უვადო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- შპს. "ნოვა"- უვადო
- შპს. "გზაჯვარედინი" - ნოვა
- შპს. "გზაჯვარედინი" - ნოვა
- შპს. "ლუნი"- უვადო

**რესურსების და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს შეუძლია 60 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.**

5. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შემდუღებელი“** (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding) შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის **შედუღება/**Welding საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი: 07310-პ. კოდი - 0715. შედუღებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 79 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა 109 კრედიტი, რომელთაგან 79 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).
   პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის არის 14 თვე, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 19 თვე.
   რესურსების და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს შეუძლია **45 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.**

6. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შემდუღებელი“** (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding) შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის **შედუღება/**Welding საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი: 07310-პ. კოდი - 0715. შედუღებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 38 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 53 კრედიტი, რომელთაგან 38 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდული (15 კრედიტი). პროგრამების მოცულობა და სავარაუდო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 6 თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 8.4 თვე.

შემდუღებელის ორივე პროფესიული პროგრამის ფარგლებში ყველა ობიექტთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულებები:

- შპს ”ელიტა ბურჯი”
- შპს ”პლაზმა”, შპს ,,ავტოდაგი”
- შპს ”ოლ-პი ჯგუფი”
- შპს ,,აზია ენერჯი”
- შპს "შედუღება მონტაჟი"
- შპს "ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
- შპს ”ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
- შპს "ROOMS", შპს "სანტექ სერვისი"
- შპს "მეტალტექნიკა"
- შპს ,,ანაგი"
- შპს "ოცნების სახლი"
- საფირმო სახელი "მეგა დორს"
- შპს "ნოვა"
- შპს "გზაჯვარედინი".

**კოლეჯის მიერ იგეგმება ასევე,** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **შემდუღებლის** (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding **დუალური მიდგომებით სწავლება.** სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორსა და შპს „გზაჯვარედინის“ გენერალურ დირექტორს შორის 2018 წლის 13 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დუალური სწავლებისათვის კრედიტების 50% -ზე მეტი მიიღწევა საწარმოში (32 კრედიტიდან - 17 კრედიტი).

ხელშეკრულებას თან ახლავს საწარმოში განსახორციელებელი მოდულების, სწავლის შედეგების და საათების შესახებ ინფორმაცია. 5 პროფესიული მოდული განხორციელდება საწარმოში, ინსტრუქტორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

